ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ

2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

1. ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას, მონიტორინგს დაავადებათა ეპიდზედამხედველობაზე, შემთხვევათა /ეპიდაფეთქებების/ გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას, ანალიზს, მონაცემთა ანგარიშგებას, საპასუხო რეაგირებას და მზადყოფნასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, უკუკავშირს და კომუნიკაციას.

2. ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი ვალდებულია განახორციელოს სამედიცინო დაწესებულებების: პოლიკლინიკის, ანტირაბიული კაბინეტის, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მონიტორინგი, როგორც ეპიდ ზედამხედველობის ასევე იმუნიზაციის წარმართვის კუთხით.

3. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხდება დაავადებების, შეტყობინების მიღება, დარეგისტრირება, კერების გამოკვლევა, ინფექციის წყაროს გამოვლენა, კონტაქტების დადგენა, აღრიცხვა და საჭირო რეკომენდაციების მიწოდება.

4. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა:

. ტუბერკულოზის 3 საეჭვო შემთხვევა, რომელზედაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა (მგბ-ჯინ ექსპერტი) უარყოფითი შედეგით.

. ბრუცელოზის 1 საეჭვო-შემთხვევა, რომელიც დასრულდა უარყოფითი შედეგით.

. ლეპტოსპიროზის 1 საეჭვო შემთხვევა ასევე უარყოფითი შედეგით.

. სიფილისის შემთხვევა გვქონდა 1 პაციენტი ცხოვრობს სხვა ქალაქში მაგრამ რეგისტრაცია ააქვს ხარაგაულის.

. დაფიქსირდა ჩუტყვავილას შემთხვევები ერთეული შემთხვევები: სოფ ხუნევში 8. ბორითში 11. ვახანში 6. ლეღვანში 5.

.Q ცხელების შემთხვევა 1 რომელიც ლაბორატორიული კვლევით არ დადასტურდა.

.დაავადებების ყველა შემთხვევა დარეგისტრირებულია დზეის პროგრამაში.

5. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ცხოველთა დაკბენა,დაკაწვრა,დადორბვლის 56 შემთხვევა. ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება ვეტ.სამსახურში დამკბენ ცხოველებზე ზედამხედველობისათვის. დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის მიხედვით.

6. სჯც აქტიურად ანხორციელებს ც ჰეპატიტისა და აივ ინფექცია შიდსის ინტეგრირებულ სკრინინგს მუნიციპაპიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებზე როგორც ორგანიზაციებში ისე მოსახლეობაში, კარდაკარ შემოვლის პრინციპით. წელს მოთხოვნილი გვქონდა 1500 ტესტი რომელიც თითქმის მთლიანად გახარჯულია. მათ შორის დადებითი შემთხვევა იყო 2. ორივე მათგანს ჩაუტარდა კონფირმაციული კვლევა. კვლევის შედეგად დადასტურდა ც ჰეპატიტი და ორივე მათგანი ჩართულნი არიან უფასო სახელმწიფო მკურნალობის პროგრამაში. პერიოდულობით ხდება მათთან კომუნიკაცია ვიდრე არ დასრულდება მკურნალობის სრული კურსი.

7. პანდემიის მკვეთრად შემცირების შემდეგ სჯც აქტიურად დაიწყო როგორც დაბის ისე სოფლებში არსებული სკოლების დაწყებით კლასებში და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების კვლევა, პარაზიტული დაავადების გამოვლენის მიზნით. კვლევა ჩაუტარდა დაახლოებით 70 ბავშვს. ინვაზიის შემთხვევა იყო 9. ყველა მათგანის მშობელს მიეცა რეკომენდაცია მკურნალობისა და შემდგომი პროფილაქტიკისათვის. სასწავლო წლის განახლების შემდეგ კვლავ იგეგმება მუნიციპალიტეტის მაშტაბით აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება. მიმდინარე წელს, სამსახურის პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიას თვითდინებით მომართა 75 პირმა. დაფიქსირდა პარაზიტული დაავადებების 15 შემთხვევა. მათაც ასევე გაეწიათ კონსულტაციები.

8. სამსახურის მიერ ენტემოლოგიური მიმართულებით, წლის დასაწყისში ხდება მუნიციპალიტეტის დერიტორიაზე არსებული წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია,რომელიც ეცნობება დააცადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს. მუნიციპალიტეტში სულ გვაქვს 10 ტბა.(1ლეღვანი,1საქარიქედი,5ვახანი,1ნუნისი,1 ღარიხევი,1 წყალაფორეთი).მიუხედავად რომ ტბების რაოდენობა არც თუ ისე ცოტაა და დაჭაობებული ადგილების რაოდენობაც ფიქსირდება, უნდა აღინიშნოს,რომ

მუნიციპალიტეტში მალარიის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ზაფხულის ცხელ პერიოდში ხდება ტბების მიმდებარე ტერიტორის გაწმენდა გასუფთავება.

9. სჯც-რის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პროფილაქტიკური აცრების მონიტორინგი. აცრები ხელს უწყობს ბავშვებში იმუნიტეტის ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ.

. სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 მართვადი ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას ესენია: დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენსა ტიპი ბ, პნევმოკოკური ინფექცია, ბ ჰეპატიტი, როტავირუსული ინფექცია, წითელა, წითურა, ყბაყურა, ადამიანის პაპილომა ვირუსული ინფექცია.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მუნიციპალიტეტში არ ტარდება სამშობიარო განყოფილების არ არსებობის გამო.

	აცრები მიმდინარეობს შემდეგი ვაქცინებით.			
	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	
1	ჰექსაქსიმი (დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, ბ ჰეპატიტი, ჰემოფილუს ინფლუენსი, პოლიომიელიტი)	65	29	45%
2	ტეტრაქსიმი 18-24 თვის ასაკის ბავშვები (დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი)	80	35	44%
4	ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის ბავშვები	108	55	51%
5	პნევმოკოკის ვაქცინა 1	65	34	54%
6	პნევმოკოკის ვაქცინა 2	65	28	51%
7	ა.პ.ვ (1) - 10-11-12 წელი (ადამიანის პაპილომა ვირუსი)	56	30	52%
8	ა.პ.ვ. (2) – 10-11-12 წელი	72	37	51%
9	წითელა, წითურა, ყბაყურა 1 წელზე	73	44	60%
10	წითელა, წითურა. ყბაყურა 5 წელზე	108	85	54%
11	ტეტანუსი, დიფტერია 14 წელზე	152	65	43%
12	როტა (როტავირუსული, ნაწლავური ინფექცია)	65	31	48%
13	პნევმოკოკის ვაქცინა 3 (პნევმოკოკური ინფექცია)	72	43	59%

10. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სჯც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის მაცივრებით.მათი ძირითადი ფუნქციაა ასაცრელი მასალის შენახვა წესების დაცვით. ხდება ტემპერატურების აღრიცხვა ე.წ 2.7 ფორმაში დღეში ორჯერ. ვაქცინები მოგვეწოდება იმერეთის დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან. სჯც-დან ს/უბნებზე ვაქცინების ტრანსპორტირება ხდება ცივი ჯაჭვის პრინციპით. უნდა აღინიშნოს რომ ყველა უბანი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რათა შეუფერხებლად წარიმართოს ვაქცინაციის პროცესი.

11. მიმდინარე წლის მაისის თვეში აღინიშნა მსოფლიო ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე, რომელიც წლის ბოლომდე გრძელდება. აქციას ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრიც შეუერთდა და ჩვენი სამსახურის თანამშრომლების მიერ მოხდა მოქალაქეების წნევის გაზომვა როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ თანამშრომლებზე ასევე კერძო სექტორში მომუშავე პირებზე და იმ ხანდაზმულ მოქალაქეებს რომლებსაც გადაადგილება შეზღუდული აქვთ. სულ გამოკითხა 450 ადამიანი. მოხდა სპეციალური კითხვარის შევსება. აღნიშნული მონაცემები გადაიგზავნა დაავადებათა კონტროლის ცენტრში და მთელი ქვეყნის მასშტაბით სტატისტიკურად მუშავდება.

12. ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო შეჩერებული იყო რამოდენიმე პროგრამის განხორციელება. დღეის მდგომარეობით ყველა მათგანის ფუნქციონირებაა შესაძლებელი. სჯც-რის ჩართულობითა და ორგანიზებით განხორციელდა დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინიგ პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარების უფასო გამოკვლევა-გასინჯვა, მამაკაცებში პროსტატის, ქალებატონებში საშვილოსნოს ყელისა და მკერდის კვლევა.დღეის მდგომარეობით აღნიშნული კვლევებით ისარგებლა 65 პაციენტმა ქ. ქუთაისის ონკოლოგიურ კლინიკაში.

13. სამსახურის ორგანიზებით მოეწყო რამოდენიმე სამედიცინო აქცია ზონების მიხედვით. ჯამში სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა დაახლოებით 500 მდე მოქალაქემ.

-სოფელ გედსამანიის საჯარო სკოლაში ჩატარდა სამედიცინო აქცია ბავშვებში, მხედველობის პრობლემის ადრეული გამოვლენის მიზნით, (საპილოტე) რომელმაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. აღნიშნული პროექტი სამომავლოდ გაგრძელდება ასევე მუნიცოპალიტეტის სხვადასხვა სკოლებშიც.

14. ასევე დავიწყეთ ახალი პროექტი სკოლების დაწყებით ჯგუფებში, I-IV კლასის ჩათვლით პირის ღრუს ჰიგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლების შესახებ.

15. ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება სანიტარულ ჰიგიენური ნორმების შესახებ მონიტორინგი და ეძლევათ რეკომენდაციები.

16. სჯც აქტიურად იღებს მონაწილეობას სისხლის დონაციის აქციების ორგანიზებაში მ/წ ჩატარდა 2 სისხლის აქცია.

17. რეგულარულად ხდება სილამაზის სალონების მონიტორინგი სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის კუთხით.

18. სჯც წარმატებით წარმართავს სეზონური გრიპის ვაქცინაციის პროცეს მთელი მუნიციპალიტეტის მაშტაბით. მ/წ ვაქცინაცია ჩაიტარა 500 მოქალაქემ.

19. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების კუთხით პრესისა და სამსახურის ფეისბუქ გვერდის საშუალებით პერიოდულად ვაქვეყნებთ სხვადასხვა აქტუალურ თემებს მოსახლეობის სამედიცინო განათლების დონის ამაღლების მიზნით.

20. 2023 წელს კოვიდ იმფიცირების მნიშვნელოვანი კლება გვქონდა მთელს მუნიციპალიტეტში. მაისის თვემდე აქტიურად ვემსახურებოდით ადგილზე თუ ოჯახებში მისვლით მოქალაქეებს, რომლებიც იყვნენ საეჭვო კოვიდ ინფიცირებულები თუ ინფიცირებული პირების კონტაქტები. სულ ჩვენს მიერ ტესტირება ჩაუტარდა 147 მოქალაქეს. მათ შორის კოვიდ ინფიცირებული აღმოჩნდა 28. ხოლო რაიონის მასშტაბით წელს სულ ინფიცირებული გვყავდა 96 პირი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი თავისი რესურსით მზად არის მისი უფლებამოსილების ფარგლებში გაუმკლავდეს ყველა პრობლემას და გამოწვევას ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეების საკეთილღეოდ.